განკარგულება:**g-49. 49252192**
თარიღი:**07/08/2025**

2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებისათვის

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის შენობა - ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე–9 ნაწილის, საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 2025 წლის 5 აგვისტოს №05/08/01 განკარგულების საფუძველზე:

1. განისაზღვროს 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის შენობა - ნაგებობების ნუსხა დანართის №1 შესაბამისად.

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს გადასცეს 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის განსაზღვრული შენობა- ნაგებობების ნუსხა №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის შენობა - ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №g-49.49242434 განკარგულება.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებისათვის
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია)
ჩატარებისათვის განსაზღვრული შენობა - ნაგებობების ნუსხა

- საკონცერტო დარბაზი „ივერია“ - ქალაქი წყალტუბო (პარკის ტერიტორია);
- კლუბის შენობა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში;
- კლუბის შენობა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში.